სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/125

ქ. თბილისი

14 აგვისტო 2020 წ.

2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე;
2. დამტკიცდეს სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (იხ. დანართი 1);
3. დამტკიცდეს დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა განცხადებების შეტანის და მათი ჩარიცხვის ვადები (იხ. დანართი 2);
4. დამტკიცდეს საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობები (იხ. დანართი 3);
5. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, აგრეთვე სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე